ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრის ირაკლი ზარქუას ანგარიში 2018 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარებული სამუშაოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც საკებულოს წევრი 2018 წლის ნოემბრიდან დღემდე საკრებულოს მუშაობის პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული და მონაწილეობა მივიღე თბილისის საკრებულოს ბიუროს 18 და საკრებულოს 17 სხდომაში, სადაც განვიხილეთ 532 საკითხი. საკრებულოს მიერ მიღებულია 98 დადგენილება და 434 განკარგულება. 2019 წლის 16 აგვისტომდე ვიყავი ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. 16 აგვისტოდან მუშაობას ვაგრძელებ როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. ამავე დროს ვარ საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი და თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

როგორც სარევიზიო კომისიის წევრმა მონაწილეობა მივიღე კომისიის 17 სხდომაში, სადაც განვიხილეთ 34 საკითხი, ხოლო როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, მონაწილეობა მივიღე საბჭოს 4 სხდომაში. მნიშვნელოვანია თბილისის მუნიციპალოიტეტის გენდერული სტრატეგიისა და სამოქალაქო გეგმის შემუშავება, რაც შემდეგ დამტკიცდა საკრებულოს მიერ. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ პროექტის „თბილისის ისტორიები“ ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებში.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ბიუჯეტი

შევისწავლეთ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის წლიური და 2019 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.

ასევე დადგენილების პროექტი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ქალქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - 4 პროექტი

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ბიუჯეტი დავიწყეთ 927 631,5 ათასი ლარიდან და ცვლილებების შედეგად ეხლა ბიუჯეტი შეადგენს 1 075 270,9 ათას ლარს.

ბიუჯეტში მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა- განსაზღვრულია 189 162,1 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება- 256 634,9 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება- განსაზღვრულია- 96 846,5 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 6 097,0 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განსაზღვრულია 21 354,9 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 196 152,7 ათასი ლარი; განათლების პრიორიტეტი შეადგენს 175 231,8 ათას ლარს; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტი შეადგენს 32 666,0 ათას ლარს; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება განსაზღვრულია 5 344,7 ათასი ლარით.

დიდი პროექტები, რაც 2019 წლის ბიუჯეტით ფინანსდება: ჭავჭავაძის გამზირისა (დაახლოებით 10 მლნ ლარი) და კახეთის გზატკეცილის რეაბილიტაცია (47 მლნ ლარი), ხიზანიშვილი და ვეკუას ქუჩების რეაბილიტაცია, კანდელაკის ქუჩის სრული რეაბილიტაცია, მეტროს ვაგონების მოდერნიზაცია - 12 მლნ ლარი, ორბელიანის რეაბილიტაცია (28 944,7 ათასი ლარი) და გუდიაშვილის მოედნების რეაბილიტაცია (27 442,5 ათასი ლარი). მშრალი ხიდისა და მიმდებარე არეალის რეაბილიტაცია - 9 679,5 ათასი ლარი. თბილისის ტეროტორიაზე 2019 წელს დაგეგმილი იყო 5 ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა. მათგან 1 უკვე დასრულდა და ფუნქციონირება დაიწყო, ხოლო 4 ბაგა-ბაღი დასრულდება და ფუნქციონირებას დაიწყებს 2020 წელს. მნიშვნელოვანია ასევე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი სპორტული ცენტრის მშენებლობის დაწყება. არსებული პროექტის შესაბამისად თბილისის ორ რაიონში ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან და დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ დაიწყო მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრების მშნებლობა, რომელიც დასრულდება 2020 წელს. ერთი ცენტრის მშენებლობის სავარაუდო ღირებულებაა 12 000 000 ლარი.

გარდა ამისა კომისიის მიერ შესწავლილია მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 25 წერილი -„ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასიგნებების კვარტალური ცვლილებების შესახებ“.

ქონების მართვა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 32 სხდომა. განვიხილეთ 290 საკითხი.

2018 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული 187 პროექტი, მათ შორის:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ-პროექტი, ასევე თბილისის მერიასა და სხვადასხვა იურიდიულ პირებს შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემასთან დაკავშირებით პროექტები; ფიზიკურ პირებზე პირდაპირი განკარგვის წესით მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემის საკითხები. რაც საჭიროებდა საკრებულოს თანხმობას.

- ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხები -

დაახლოებით 340-მდე ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება (5414,75 კვმ საცხოვრებელი ფართი).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კომისიის მიერ იქნა შესწავლილი არის შემდეგი: „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

27 962 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა 113 ოჯახს, გარდა ამისა 61 ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით, მათი მხრიდან სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.

ერთერთი მნიშვნელოვანი, რაც კომისიამ შეისწავლა არის - ვარკეთილის ტერიტორიაზე ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახებისათვის ავარიული ბინების სანაცვლოდ, ახალი საცხოვრებელი ბინების გადაცემისათვის, ვარკეთილის მე-3 მასივში 30 205 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.19.20.020.025) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 ლარად პრივატიზებით და პირობადადებულ საკუთრებაში გადაცემა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისათვის. ინტერესთა გამოხატვა წარიმართა 5 ლოტად. თითოეული ლოტი გულისხმობს სამშენებლო ფაზას არაუმეტეს 36 თვისა. ლოტების

რიგითობას განსაზღვრავს გამარჯვებული პირი. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტს უნდა გადმოეცეს ბინების საერთო ფართის მინიმალური ჯამური ოდენობა 7500 კვმ თეთრი კარკასის მდგომარეობაში. თითო ლოტზე განსაზღვრულია გადმოსაცემი ფართი მინიმუმ 1500 კვ.მ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რაც კომისიის წევრებთან ერთად შევისწავლეთ იყო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" -პროექტი.

საქართველოს და ევროპის რეკონსტრქუციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" 2018 წლის 27 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 15 მლნ ევროზე. პროექტთან დაკავშირებით გაფორმდა საქართველოსა და EBRD-ს შორის პროექტის მხარდაჭერის, ხოლო შპს „თბილსერვის ჯგუფს" და EBRD-ს შორის საპროექტო ხელშეკრულებები. აღნიშნულის თანახმად, ფინანსთა სამინისტრო სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცემს 15 მლნ ევროს. პროექტის განხორციელების მხარდაჭერის ღირებულებაა 400,0 ათასი ევრო, ადმინისტრირების გადასახადი 150,0 ათასი ევრო. 14 850,0 ათასი ევრო დაიხარჯება შემდეგ კომპონენტებზე:

ავტოპარკის განახლება 9 200,0 ათასი ევრო, რაც გულისხმობს 63 ერთეული სხვადასხვა მოცულობის ნაგავმზიდი მანქანის შესყიდვას; 12 ერთეული ნარჩენების გადამტვირთავი მანქანების შესყიდვას და 7 ერთეული მექანიკური დამგველების შესყიდვას. შემდეგი კომპონენტი არის გადამტვირთი სადგურის მშენებლობა და რეაბილიტაცია 1 300,0 ათასი ევრო და წყლის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია 4 350,0 ათასი ევრო. აღნიშნული კომპონენტი მოიცავს რეცირკულაციის სისტემის მოწყობას, გამორეცხვის სისტემის მოწყობას და ნაჟური წყლის შემკრები აუზისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა - განახლებას.

კომისიის წევრებთან ერთად განვიხილეთ: დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა - პროექტი

დედაქალაქის ტერიტორიული განვითარების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს არსებული განაშენიანებული ტერიტორიების განვითარება, ინტენსიური მოდელი ექსტენსიურის ნაცვლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მიხედვით დასახულია ტერიტორიების ბალანსირებული და რეკონსტრუქციაზე ორიენტირებული განვითარება. ასევე, პრიორიტეტულია ქალაქის ცენტრალური ნაწილის ისტორიულად ჩამოყალიბებული ხასიათისა და თავისებურებების შენარჩუნება და აღდგენა, მისი კულტურული, საზოგადოებრივი და წარმომადგენლობითი ფუნქციის განვითარება. ქალაქის თანაბარი განვითარებისთვის განისაზღვრა თბილისის სხვადასხვა უბანში პოლიცენტრული არეალები. ამასთან, შემოთავაზებული იყო სარეკონსტრუქციო არეალების განახლება და ყოფილი სამრეწველო/კომერციული ტერიტორიების („ბრაუნფილდები") კონვერსია. შეზღუდვების საშუალებით უზრუნველყოფილია ბუნებრივ ტექნოგენურ ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიების დაცვა, ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოება. ხელშეწყობილია ახალი მწვანე არეალების შექმნა, რითაც არსებულ მონაცემთან შედარებით უნდა გასამმაგდეს ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების წილი.

პროექტის კონცეპტუალური გადაწყვეტილებით უზრუნველყოფილია ქალაქისა და მდინარის კავშირის, აგრეთვე, არსებული ხეობების ეკოსისტემის რეაბილიტაციის ხარჯზე უწყვეტი, მტკვრის ხეობიდან განშტოებული ერთიანი მწვანე სისტემის აღდგენა.
აღდგენა.

თარიღი: 30.10.2019

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე

ირაკლი ზარქუა